ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 307

"30" ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა №1ა/ქალაქი თბილისი ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა №3/ქალაქი თბილისი სლავა მეტრეველის ქუჩა №9 (ს/კ. №01.13.07.019.049) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ჯსჯ გრუპის" (ს/ნ. 405382562) მიმართ გასატარებელი ღონისძიების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „ჯსჯ გრუპის" (ს/ნ. 405382562) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 28 ივნისის №23.962.1069 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ჯსჯ გრუპის" (ს/ნ. 405382562) მიმართ მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა №1ა/ქალაქი თბილისი ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა №3/ქალაქი თბილისი სლავა მეტრეველის ქუჩა №9 - მდებარე (ს/კ. №01.13.07.019.049, ფართობი - 5563 კვ.მ.) სამშენებლო ობიექტთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2022 წლის 2 ნოემბრის განკარგულება №22.1689.1827) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2022 წლის 4 ნოემბრის განკარგულება №602) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ჯსჯ გრუპის" (ს/ნ. 405382562) მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით,

თანხის გადახდის ნაწილში შესრულებულად ჩათვლასთან და ამავე განკარგულებით (2022 წლის 4 ნოემბრის განკარგულება №602) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების ძალაში დატოვებასთან დაკავშირებით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე